ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #29

ქ. დუშეთი

09-02- 2015 წელი

ერთის მხრივ, ქ.დუშეთის მუნიციპალიტეტის, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი ბექა ღარიბაშვილი და მეორეს მხრივ, შპს ,,საქართველოს ფოსტა" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან საფოსტო კონვერტების შესყიდვა (შემდგომში – საქონელი).

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტის ჩამონათვალი და ფასების ცხრილი

	საქონლის დასახელება	ერთეულის ფასი (თეთრი)	რაოდენობა	სულ ღირებულება
1	კონვერტი - A6	20	1250	250
2	კონვერტი - A5	40	500	200
3	კონვერტი - A4	50	150	75
	სულ			525ლ

3. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 525 ლარს.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეთა შორის საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის/სასაქონლო ზედნადების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საფოსტო კონვერტების გატანა განხორციელდება შპს „საქართველოს ფოსტის" დუშეთის სერვის ცენტრიდან.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კანცელარიის წამყვანი სპეციალისტი, ოპერატორი -საქმისმწარმოებელი მანანა ცერექაშვილი.

4.3. საქონელი ჩაითვლება ჩაბარებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი

5.1. საქონლის მიღების ადგილია: შპს „საქართველოს ფოსტა"-დუშეთის საფოსტო სერვის ცენტრი.

5.2. საქონლის მოთხოვნა/მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულების შემთხვევაში, ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე წერილობით მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვარი--- ჩათვლით.

11.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცათ მხარეებს.

შემსყიდველი:

ქ.დუშთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
მის: რუსთაველის ქ 27
საინდეფიკაციო კოდი:229324451
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი:TRESGE22
ანგ.ნომერი :
GE24NB0330100200116502 2

ბექა ღარიბაშვილი
დუშეთის მუნიციპლაიტეტის გამგებლის
მოვალეობის შემსრულებელი

მიმწოდებელი:

შპს ,,საქართველოს ფოსტა''
მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი 2
საიდენტიფიკაციო კოდი: 203836233
ბანკი: სს „პრივატბანკი"
ბანკის კოდი: CAVOGE22
ანგ. ნომერი: GE88TP0034080020000642
ტელ: 2240909(ცხელი ხაზი)

ლევან ჩიკვაიძე
გენერალური დირექტორი